

# პ რ ი ლ ი


№7 (193)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

30 სექტემბერი

ფასი 1.50 ლარი

1134  
2003



გ ა გ რ ი ე ლ  
გ ა რ ს ნ ი ა  
გ ა რ კ ე ს ი

ი ხ ს ო ვ რ ო, რ ა თ ა მ ო ჯ ყ ვ ე

#7  
2003

# არილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური  
ასოციაცია "არილის" გამომცემი

The Literary Magazine ARIILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდე(ნი)  
სულხან-საბა

არილი - შხის შუქი, რამეზე დამდგარი  
ძველი ნების  
განმარტავთი ლეხსაოცნი

მთავარი რედაქტორი  
**შადიშან შამანაძე**

**სარედაქციო საბჭო**

მალხაზ ხარბედია  
(მთ.რედაქტორის მოადგილე)  
ლევან აბაშიძე  
ია ანთაძე  
ირმა არჩუაშვილი  
ანდრო ბუაჩიძე  
ნოდარ ებრაღიძე  
თამაზ ვასაძე  
ეთერ ვიბლიანი  
ზაზა თვარაძე  
ზურაბ კვიციანი  
ვახტანგ კომახიძე  
ვასილ მაღლაფერიძე  
ზვიად რატიანი  
ირაკლი სამსონაძე  
გულსუნდა სიხარულიძე  
სოზარ სუბელიანი  
ზაზა ფაჩუაშვილი  
ზაზა ჭილაძე  
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - ნანა ჩხვიმიანი  
*კომპიუტერიული დირექტორი* -  
გიორგი სუბარი

*კომპიუტერიული უზრუნველყოფა*  
თამაზ ჩხაიძე  
ელისო კალმახელიძე  
მანანა კორძაძე

ტელ: 93-37-43; 99-83-00

ფაქსი: 98-67-90;

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ფურნალი იბეჭდება გაზეთ  
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№7, 30 სექტემბერი, 2003

## ლიტერატურა

მიხეილ ქვცივიძე ჩემი ალსასრულის რეპეტიცია .....	1
დავით ჯავახიშვილი ბასეირნება პუშკინოში .....	2
ლაშა ბულაძე ნესტორის გოლო ისა .....	5
რატი რატიანი ფიდი პოლიტიკა .....	9
ჰენრი მილერი ჩემი ცხოვრება როგორც ეძო .....	11
შერვუდ ანდერსონი ძმების სიკვდილი .....	13
ემილი დიკინსონი ლექსები .....	21
თომას პინჩონი გზა "1984"-ისკენ .....	23
გიორგი ლოპუნიძე ძარტველი კაცი ოცი საუკუნის შემდეგ .....	28
ხალილ ჯიბრან ჯიბრანი იესო ძე კაცისა .....	34


## პერსონა

გაბრიელ გარსია მარკესი "გავშვება" .....	47
ემერჰარდ ფალკე მტვრის მარქანაბალი .....	50
თამარ ბაბუაძე სანამ სიკვდილს სახელი არ ჰქონდა .....	52

## ხელოვნება

ინტერვიუ ოთარ იოსელიანთან .....	54
---------------------------------	----





# ჩემი აღსასრულის რეპეტიცია

რადიო მოთხრობა

**დიქტორი:** "ეთერშია "ღამის ლაბირინთი"... სანამ ჩვენს სტუმარს წარმოგიდგინთ, მის სიტყვებს წაგიკითხავთ: "ხსოვნა უძირო ქსასავითაა, მასში არასადროს არ შრება წყალი. საჭიროა შოლოდ რაც შეიძლება ღრმად ჩაუშვა თოკი და მოთმინებით დაელოდო კასრის გაქვებას. მერე კი ფრთხილად ამოსწიო, რომ არც ერთი წვეთი არ დაიღვაროს. ხსოვნა ქსასავითაა კიდევ იმიტირება, რომ ძირაშდე თუ ჩახვედი და მოგონებათა სიღრმეში ჩაყვინთე, იქიდან ვარსკვლავებსაც დაინახავ, არა მარტო ღამით, დღისითაც, ვარსკვლავების მიხედვით კი ბედის გამოცნობა შეიძლება, - ამტკიცებენ მოხუცები, რომლებსაც, თურმე ტყუილიც დაეჯერებათ..." გამარჯობა, ბატონო მიშა მოდით, ჩავეყვინთოთ მოგონებათა ჭაში და რაიმე გავხსენოთ."

**მხილველ ქალიწიძე** - ამ ბოლო წანს, მეშუაგების წერა დაიწყო და მათ ჩემი ერთი ლექსის სახელწოდება დაეარქვე: "ვაპირებ ცხოვრებას". ეს ფრაზა საყვარელ პოეტს, ბორის პასტერნაკს დავესესხე... გახსოვთ, გენიალურად ამბობს ექიმი ჟივარო: "ადამიანი იბადება იმისათვის, რომ იცხოვროს და არა ეშაადებოდეს ცხოვრებისათვისო?" (ალბათ ამ სიტყვებმა გავაცოფა ყველაზე მეტად საბჭოთა ხელისუფალი, ასე რომ შეუტრის პასტერნაკის რომანს და სასიკვდილოდაც გაიმეტეს ავტორი: კომუნისტები ხომ სულ რაღაც "კომუნისტს" აშენებდნენ და იმ ფაქტორ "სამოთხეში" ცხოვრებისთვის ჰყავდათ გამეტებული საბჭოთა კავშირის მოსახლეობა!...) ჰოდა, მეც, როგორც საბჭოთა მოქალაქე, მიუღი ჩემი დღე და მოსწრება, სულ იმ "კომუნისტში" ცხოვრებისათვის "ეშაადებოდი" და ისე დაებერდი, რომ ვერ დაეინყე ნორმალური ადამიანური არსებობა: ვერც იმედები ავისრულე, ვერც ის მონადეობა გავამართლე, რისთვისაც გამაჩინა მამაზეციერმა... მოკლედ, ვერ შევიქმენი ისეთი ბოგარაფა, მე რომ მინდოდა...

ჩემი ენ. "მეშუაგები" დავამთავრე და წიგნადაც გამოვეცი, მაგრამ იქ ერთი თავი მაინც დამრჩა დაუნერული და აი, ახლა გიამბობთ. ამ ჩემს მოგონებას ალბათ "როგორც ვკვდებოდი" უნდა ეწოდოს, ანდა "ჩემი სიკვდილის გენერალური რეპეტიცია"... რეალური ამბავი და რა სახელწოდება უფრო მოხუცდება, მკითხველმა თვითონ განსაჯოს.

ბავშვებით ცნობისმოყვარე კაცი ვარ, მოხეტიალე და თვითგადასავლების მოყვარული და მაშინ ალბათ 50 წლისა თუ ვიქნებოდი, როცა ბალტიისპირეთში მოვხვდი. იქ მწერალთა სახლია პაჭარა დაბაში, რომელსაც "დუბულტი" ჰქვია. საოცარი ლანდშაფტი აქვს ამ დაბას: ზღვა ძალიან მუხერია, ნახევარი კილომეტრიც რომ გაიგრო, მუხლებამდე გწვდება წყალი, მაგრამ ძალიან ვრცელი სივრცე იშლება ნაპირიდან ჰორიზონტამდე... ჩვენი შემოქმედებითი სახლი - 16-სართულიანი გიგანტი - ზღვის პირას დგას. ოთახი სადღაც მეთორმეტე სართულზე მქონდა, მარტო ვიყავი, ჩემები მოსკოვში დარჩნენ. ვსივრობოდი, ვფიქრობოდი, ცოტ-ცოტას ვწერდი, ცურვა არ ვიცი და პლაჟზე ნაკლებად გავდიოდი, ბინოკლი მქონდა და აივნიდან ვათვალიერებდი იქ შეკრებილ ნახევარამოშველ ქალებს, რათა მათში, ჩემი შესაფერისი საკბილი ამომეჩნია. თუმცა ქალების ნაკლებობას მაინცდამაინც არ განვიცდიდი... ერთი სიტყვით, ჩემს ნებაზე დროს ვატარებდი: ვსვამდი, ღამეებს თეთრად ვთიფებდი და... ცხვობა, მტისმეტი მომივიდა, ერთ დღეს გულმა ძალიან შემაწუნა! ისე ცუდად გავხდი, ადგილს ვეღარ ვყოლობდი: ხან დაწვებოდი, ხან ავადგებოდი, რაც კი წამლები მქონდა, ყველა დაველიე, მაგრამ არავფრმა მიშველა, გული ღამის ყელში მებჯინებოდა და საშინლად მტკიოდა... წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ღამის ორი საათია, მარტო ვარ უცხო ქვეყანაში, აგვისტოა და ცხელი, დახუთული ჰერია, ზვიდან ნიავეც არ ქრის და ვატყობ, ვკვდები...

არადა, გაციონილი მქონდა: გულის შეტევის დროს მთავარი არ შეგემინდეს, რაღაც უნდა მოიმოქმედო, არ დაწებდე ულაჯობის გრძობას, მე კი პანიკურმა შიშმა ამიტანა, რადგან სრულიად მარტო ვიყავი და მშველელი არავინ მეგულეობდა... გამოვედი ოთახიდან და კიბეს დავუყვევი, ღამის! სწორივით ჩავაღნიე ძირამდე (კონდუ კარგი, შენობის კარი ღია დამხვდა) და პლაჟზე გამოვედი. იქ სრული სიბნელეა, ერთი ნათურაც არ ანთია, ერთი სკამი ან რაიმე ჩამოსაჯდომი არ ჩანს. ბალტიისპირეთი ქობულეთი არ გგონოთ - მშრალი და ქვიანი ნაპირი იყოს, აქ ტალა-

პროზა  
მხილველ ქალიწიძე  
ჩემი  
აღსასრულის  
რეპეტიცია



ლავით ჯავახიშვილი

# ბასეირნება კუზჩინოში

ზიეთ ნესტიანი ქვიშა. ძლივსძლივობით მივფორთხავ, ნინ მივიწვევ თავდახრილი, ვიცო, თუ გაეწერდები, ნა- ვიქცევი და ვეღარც ავადგები. გარშემო არც ბუჩქია, არც ხე. ერთ მხარეს უკბილო მოხუცივით მოჩიფნიფე უზარმაზარი ზღვაა, მეორე მხარეს კი სანატორიუმების ყრუ კედლებია აღმართული და უცებ, ჩემდა საზუნდნი- ეროდ, მოშორებით მერხი დავინახე, ძლივს მივალას- დი იქამდე, გადავესვენე მერხზე, ფესსაცმელიც გაიხა- დე, რომ გახურებულ ტერფებს სიგრილედ ეგრძობო და თავი რომ ანევი და ზემოთ ავიხედე... ღმერთო ჩემო, სასწაული დავინახე: ვარსკვლავებით მოჭადილი ზეცა! ასეთი რამ მანამდე არსად და არასდროს არ მენახა: ნაპირიდან შორიზონტამდე მთელი სივრცე გაჭყდილი იყო მიკაშკაშე მნათობებით, თანაც ისე მჭიდროდ, რომ ვარსკვლავსა და ვარსკვლავს შუა ცხენის ძუა არ ჩაე- ტყოდა. ეს იყო ერთი მთლიანი ვარსკვლავების მოზაი- კა... სანახაობა ღვთის მიერ მოგონილი და შექმნილი..

ყველაფერი დამავინყდა: გულის ტკივილიც, მაცოცხ- ლებელი კუნთის უმწეო ფართხალიც მკერდის არეში, და რაც მთავარია შიშიც, ჩემი აღსასრულის პანიკური შიშიც გამიქრა ამ ხელთუქმნელი სილამაზის წინაშე! უძრავად ვესვენე მერხზე, მიჭერებოდი ცას და აღარ მახსოვდა ვინ ვიყავი, როგორ ვგრძნობდი თავს, სად იყვნენ ჩემი ახლობლები, ცოლი, შვილები, მეგობრები და საერთოდ, სად იყო ჩემი სახლი ან ჩემი სამშობ- ლო... და უცებ გავბრაზდი საკუთარ თავზე და შევეუ- ტიე: რა მოგივიდა, შე ოხერო, - ვუთხარი, - რას დაჰ- კანკალებ შენს უბადრუკ სიცოცხლეს? განა ცოტა გიცხოვრია ამ ქვეყანაზე? ცოტა რამ გინახავს, ცოტა სიახე გიგრძენია? რამდენი შენზე ბევრად უკეთესი და საყვარელი ადამიანი და მეგობარი გაისტუმრე იმქვე- ნად, აბა, გაიხსენე?! მამა გიცხონდა, შენც თუ გადაბ- რუნდები, რა მოხდება: დაიქცევა ეს ქვეყანა, გაქრება ეს ზღაბრული სილამაზე, ახლა რომ უფურებ? მას ხომ სხვები შეხვდავენ, შენი შვილები და შვილიშვილები?!

ისევ და ისევ შევცქეროდი ვარსკვლავებით გაჩი- რადღნებულ ცას და ვტკბებოდი მისი სიღიადით და უსაზღვროებით და რაც უფრო დიდხანს ვუყურებდი, მით უფრო უმნიშვნელოდ მეჩვენებოდა ჩემი სიცოცხ- ლეც და სიკვდილიც და თანდათან დიადი სიმშვედე ფუფულეობდა მიელ ჩემს არსებას... ამ ფიქრებში ვიყავი და შეუქმნევილად ტკივილმა გაშიარა, დავწყნარდი, გუ- ლი საგულეში ჩადგა და თქვენ წარმოიდგინეთ, ავლი- ლინდი კიდევ... მერე ავდექი და სახლისაკენ გავენი, რა- თა მეორე დღეაღც გამეგრძელებინა ჩემი ყალთაბანდუ- რი, პოეტური ცხოვრება.



უშწინო მოსკოვის სამხრეთით, ას ოცი კილო- მეტრის დაშორებით მდებარე პატარა პრო- ვინციული ქალაქია; საბჭოთა ეპოქაში "აკადე- მიური" სტატუსი ჰქონდა და მასში ძირითადად ბიოლოგიური განხრის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები იყო განათავსებული; მათგან ერთ- ერთში, თხუთმეტიოდე წლის წინ, ჩემმა უფროს- მა გაუმე ასპირანტურა გაიარა, რის გამოც, ერ- თი-ორჯერ, შემოდგომობით, მეც მომიხდა ამ ქალაქში ყოფნა. დღეს რა ხდება იქ, ცხადია, აღარ ვიცი.

მოსკოვის ჯოჯოხეთის გავლით პუშკინოში მოხვედრილ მგზავრს თავი ნამდვილ სამოთხეში ეგონებოდა: სიმშვიდე, ნესრიგი, სისუფთავე, წყალუხვი და მდორე ოკა თავისი ლამაზი, ტყი- ანი ნაპირებით... სხვა რაღა უნდა ჩემნაირ ბუ- ნებისმოყვარე ადამიანს?!

გზა მოსკოვიდან პუშკინომდე ლარევით სწორია და თავიდან ბოლომდე ნინოვნებისა და არყის ხეების შერეულ ტყეში მიიჭიმება. შე- მოდგომა ყველგან წლის საუკეთესო დროდ მი- მჩანია და ეს აზრი არც იქ ყოფნისას შემცვ- ლია.



ცნობილია, რომ რუსეთში ძალიან მაღალ დონეზე დგას სკოლის კულტურა; მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ზედმიწევნით ერეკვება ამ ერთობ რთულ საქმეში, ისევე როგორც კენკროვნებსა თუ სამკურნალო ბალახ-ბუბახსა და ტყის ნობათის აქტიური მომხმარებელი არამარტო პოტენციურად, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კინეტიკურადაც. ჩემი მგზავრობისას თვალნათლივ დავრწმუნდი ამაში: მთელი ას ოცი კილომეტრის მანძილზე, მოსკოვიდან ვიდრე პუშკინოში, გზის ორთავ მხარეს მსუბუქი მანქანების ისეთი მჭიდრო და უწყვეტი მწკრივები იდგა, ძალიანაც რომ მოგწოდებოდა, ვეღარსად ჩაეკვებებოდი. თუ რატომ იცანა მათ ეს საქმე ჩვენზე გაცილებით უკეთ და რატომ მისდევენ მას ასეთი გაცხადებით - ამაზე საკუთარი მოსაზრება მაქვს და მკითხველმა განსაჯოს, მართალი ვარ თუ ვცდები: იმტომ, რომ ისინი ჩვენზე ბევრად უფრო გვიან გამოვიდნენ ტყიდან, პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით. აქ არ შიშობილა არ გაიხსენო ერთი ქართველი მენეჯერის (თუ არ ვცდები, კაკი წერეთლის) ცნობილი რეპლიკა, "ნასროლი" თავისი რუსი ოპონენტების მისამართით: "კოდა ვაში ვ ლესუ ბროფილი, ნაში ვენაგლეუ პერეკოვილი". ერთი-ორგან, ავტობუსის ფანჯრიდან, ვეებერთელა საგზაო სტენდს მოკვარი თვალს: "რუსუ ლეს", ოფს-ებობა მსვლილი წარწერა. კიდევ კარგი, რუსულად კითხვა ვიცი-მეთქი, გავიფიქრე, თორემ ხომ შეიძლებოდა აფრიკის სავანებში მგონებოდა თავი?!

ქალქასაც გარშემო იგივე "რუსუკი ლეს" აკრავს და საითაც არ უნდა გაიხედო, მით უფრო მეცამეტე სართლის აივნიდან, მას არც ბოლო უჩანს და არც თავი. გამაოგნებელი მასტუბებია! თითხვი მხარეს, თვალსაწიერზე, სულ ცოტა ხუთ-ხუთი საქართველოსხელა სივრცეები გადაჭიმულა, ხოლო იმაზე რაღა ითქმის, რასაც მხოლოდ გონების თვალთა თუ განვებაში? და განა გასაოცარი არ არის, ასეთ უკიდვგანო სივრცეთა პატრონს კიდევ სადაცა, ამ სივრცეთა გარეთ რომ უჭირავს თვალს? მართლაც უსაზღვრო ყოფილა იმპერიული არსის სიხარბე და გაუშადრბო...

ჩემი ეს სერიოზული ფიქრიც, ვიცი, პუშკინოში ჩასვლისთანავე უმაღ დილის ბურუსებით გაიფანტებოდა: იქ ხომ ჩემი ერთადერთი, ახლად ფესვადგმული შვილიშვილი თინათო მეტყულებოდა და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა სინაზე და რა განცდები დამიტრიალდებოდა გულში. მასთან ერთად ქალაქის მშვენიერ პარკში თუ ტყიან შემოგარენში სერიოზულა თუნც დაძლიავე, მაგარამ უდიდესი სიამოვნება იყო ჩემთვის. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გასიერების გასტენება ჩემი ამ ჩანანების მიზანი, რაც, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს არამარტო ჩემთვის.

ჩვილი ბავშვების სატარებლად მეტად მოხერხებული, ორიგინალური ჩანთა ეგზოტიკური სახეობა - "კენგურუ" იმზანად საქართველოში სიხსენ იყო და მისი პირველი თუ არა, ერთი პირველთაგანი მომხმარებელი, დიხსახე, მე გახლავით. ჩავისვამდი ხოლმე ჩემს პატარა, მოუსვენარ თინათოს და დავასიერებდი ხან "მზიურში", ხან ზოოპარკში, ხან ოქროყანაში... პუშკინოში ხომ ეს "კენგურუ" ჯერ არავის ენახა და ამის გამო თინათო და მე მალე ლამის ქალაქის ღირსშესანიშნოვად იქცევი. "კენგურუ" პიჯაკის ქვეშ შევტავა ხოლმე და არ ჩინდა; პიჯაკი ერთ დღილზე მქონდა შეკრული და რაკი ორი-ეუ ხელი თავისუფალი მქონდა და ბავშვი არ მეჭიბრა, ეცნობა, იმ ერთ დღის ვეფლობიდი - ყოველ ნაბიჯზე მაჩერებდნენ და ჭკუას მარიგებდნენ. ერთხანს ამით კი-

დეც ვერთობოდი: უეცრად გავიხსნიდი ხოლმე იმ ერთადერთი დილსაც და ჭკუის მასწავლებლებს, განსაკუთრებით - ლამაზ ქალებს, გულებს ვუჭუჭუქავდი... ერთი სიტყვით, "კენგურუს" წყალობით პუშკინოს მცირერიცევიან მოსახლეობასთან ფრიად თბილი ურთიერთობები გავიხსენებ.

ერთხელაც, ქალაქის პარკში ერთი სიმბათიური კაცი "დამეზავარა", ისიც თავისი შვილიშვილი, ხუთი-ოცე წლის ცისფერთვლა, ქვათთმანი გოგონათი. თვითონ პაპს ასაკით ჩვენზე უფროსი ჩანდა, თავიდან ფეხებამდე ვერაპულად იყო გამოწკეპილი და მიხერა-მისვრითაც აშკარად დახვეწილი ინტელიგენტის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ასეც აღმოჩნდა. თავდაპირველად "კენგურუთი" დაინტერესდა, დიდი მოწინებითა და ბოლომდომი გამოკითხვა მისი წარმომავლობა, მოინროს და გამოცდილების დაუზარებელი გაზიარებისთვის ათასი მაღლობა მომასხენა. მერე უკვე ჩემი და თინათოს ვინაობითაც დაინტერესდა და ძალიან ტაქტიკად, ძალდაუტანებლად ჩვენ შესახებ ყველაფერი მამამოინა. შიგადაშიგ, პარალელური ჩანართების სახით, თავისი ცხოვრების ამბებსაც მიყვებოდა და თუმც მისი მონაყოლში დიდად უწყველო არაფერი იყო, რატომღაც მაინც საინტერესოდ ისმინებოდა. მოკლედ. კულტურული, განათლებული და სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა, ბავშვებიც და ბურუნის მოყვარული, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მეცნიერებასა და მუსიკაში - ყოველ შემთხვევაში ჩემი საზომით - საკმაოდ გათვითცნობიერებული. ჩემი გული განსაკუთრებით იმით მოიგო, რომ, როცა თინათოს მიეფერ-მიესიყვარულა, მის სინაზეცა და აღწერისთანაში სიკვამილეს ნატამალიც კი ვერ ვიგრძენი. იოლად გადაუფახდე სამაგიერო: მისი მეშენკაც ისეთი მოშიშობავი არსებია იყო, რომ იტყვიან, გადაყლაპავდი.

ერთადერთი, რასაც ჩვენი საუბარი არ შეეხება, პოლიტიკა გახლავთ, რაც ადვილი ასახსენილია: იმზანად ამ თემაზე ღიად ან არავინ საუბრობდა, მით უფრო უცნობ ან ახლადგაცნობილ ადამიანთან, ან თუ საუბრობდა, მხოლოდ და მხოლოდ ყალბ, ოფიციალურ ჩარჩოებში. ჩვენი საუბრის უფრო დანერგულობით გადმოცემით მკითხველს თავს არ შევანყენ და მისი ყურადღების გამახვილებას მხოლოდ ამ საუბრის უცნაურ დასასრულზე შევედები.

მოკლედ, ორმა პაპამ ანუ "კოლეგებმა", როგორც ვუნორდეთ ერთმანეთს ხუმრობით, საწყვარელი შვილიშვილების თანხლებით მეტად სასიამოვნოდ გადავტვირთნახვეარი დღე ლამაზ, დაბურულ პარკში და შინაგანად ორივენი უკვე გულთიად დამშვიდობებისთვის ეგზამდვიდით, რომ მეტი წინ, მაშენკასთან ერთად თავისი ფეხით მიმავალი თინათო ნაიქცა და სასაცილოდ გაგორდა ბალახში. გული შემეძანდა, მაგრამ უმაღვე დავემშვიდდი, არაფერი მომხდარა საშიში.

- ადგ, არ იტირო! - ვითომ მკაცრად ვუბრძანე სატრირლად გამზადებულ თინათოს და მერედ დაუფრევეც, - შენ თითონ ადგე, შენ ხომ ყოჩალი გიგო ხარ!

თინათომ მართლაც სანაქებო სიმკვირცხლე გამოიჩინა და ვიდრე მაშენკა მიეშველებოდა, უკვე ფეხზე იდგა, თან, რაც მთავარი იყო, არ ტირიდა. "კოლეგას" თავმოწონედ გადავხედე, ის კი რატომღაც გაკვირებული შემომცქეროდა. რამ გააკვირებია-მეთქი, უხმოდ, თვალნათლივ შევვციოხვ და იცით რა მიზნარ? როგორ, რუსული ასე პირგად ცცოდნით და მაინც კიდევ თქვენს ენაზე ლაპარაკობით?

გაოცებულსაგან პირი დავაღე: ასეთი კაცი რომ ამას გეტყვის, სხვას რაღა უნდა მოსთხოვო?!



გული მეტკინა: ყველაფერი, რაც აქამდე მასიამოვნა, ერთბაშად გადაყარა წყალში და ამას ვერცა გრწონოდა, ევროს, მის ნათქვამს ქათინაურად მივიღედი.

ვიფიქრე, ვცდი, იქნებ რამე გავაგებინო-მეთქი, თუმც ამის იმედს მხოლოდ თეორიულად მექონდა და დამარცხვით შევეკითხე: თუ ღმერთი გნამთ, გამაგებინეთ, ჩემს მშობლიურ ენაზე რატომ არ უნდა ვილაპარაკო-მეთქი.

დაფიქრდა, ვერაფერი მიპასუხა და ახლა ამით ჩანდა გაკვირვებული; ერთხანს თხასავით უაზროდ შემომ-ცქერიდა, მერე, დამშვიდობების ნიშნად, უხმოდ მიმო-ხადა ქუდი და თითქოს დარცხვენილი გამშორდა. ან იქნებ მომეჩვენა?

სინამდვილეში გაცივებით გავაყოლე თვალი... ეს ამბავი ასე დასრულდა და იქნებ არც არასდროს გახსენებოდა, რომ არა ერთი საინტერესო შემთხვევა ისევ და ისევ ჩემი პატარა თინანოს ბიოგრაფიიდან, რომლის მოყოლაც აქ ძალიან დროულად მეჩვენება.

იმხანად თინანოს ენა უკვე კარგად ადგმული ჰქონდა და როგორც ყველა მისი ძლიო, საყვარლად ტიტინებდა. ერთხელ, როცა კალთაში მეჯდა და მისი აღ-რისხით ვერ ვძღვობოდი, სათუბელა მომხსოვა სათამა-შოდ. ცივი უარის თქმა კი ვინდომე და პატარა ტყე-ვილი მივივიქრე: მოვიქექავ ჯიბეები და ვითომ ვერ ვი-პოვი. მართლაც, მოვიქექე ჯიბეები და... მართლა ვერ ვპოვე, დამეკარგაოდა. გამიხარდა, ტყუილის თქმა რომ აღარ დამეკარგა, შენ უხებულმა თინანომ კი სათუბელის დაკარგვის ამბავი ბუბოს ასე ჩაუკაკალა: ყო, ყო, ყო პა-პამ ხელს ჯიბეებში და ვერ იპოვია. უცებ ვერც მიგზ-ნის არ ამბობდა, ამ "ყო ყო ყოშ" შენამდგომითა, ისევ ენა ხომ არ დაება-მეთქი: ცოტახანს წინ დაგვემუქრა ეს სა-შვიშოვლად და ძლივს ავიცილეთ გამოკიდული ლოგოპე-დის შემგვობით. რომ ჩაუუკვირდი, კი მიხვდები, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ ვერ დავიჯერე და ჩემს უმცროს, გრამატიკოს შვილს პაატას მივმართე განმარტებისთვის. პაატა ადამიანთა იმ უღუგათის კა-ტეგორიას ეკუთვნის, რომელთაც ბავშვობაში გრამატიკა არათუ არა სძულთ, არამედ უყვართ კიდევაც, აინ-ტერესებთ და კარგადაც იცინან. ეს თვისება მას ალბათ იმ დღიდან დაეკვება, როდესაც ერთხელ, ოთხი წლის ასაკში, სოფლად ყოფნისას, ორლობიდან ატირებული შემოვიდა ეზოში და მიზეზი რომ ვკითხეთ, გვიპასუხა: ცუდ სიტყვაში ფეხი ჩავდგიო. ჰოდა, აი ამ "ბავშვობი-დანვე გრამატიკოსმა" ასე განმიმარტა: "ყო" საესებით სწორი ფორმაა ზმნისა და მას "ნამყო წყვეტილის უს-რული ასპექტი" ჰქვიაო.

ისე გაცივდი, ლამის მისტიური განცდა დამეუფლა: მართლაც და, საიდან უნდა სცოდნოდა სამხანგური წლის ბავშვს ზმნის ასეთი უჩვეულო და რთული ფორ-მა, რომელიც სალაპარაკო ენაში, პრაქტიკულად, არც კი იხმარება? ე.ი. თვითონ ანარქიზა. ეს ხომ ნიშნავს იმ-ას, რომ მშობლიური ენა ადამიანს პატარაობიდანვე ძელ-რბილში აქვს გამეფდარი? და რაკი ეს ასეა, რა-ტომ უნდა მიინდომოს ვინმემ, თუნდაც პოლიგლოტმა, მისი დაეინყება და სხვა ენაზე გაცვლა? ეს კითხვა რი-ტორიკული არ გახლავთ და იგი კვლავ ჩემი პუშჩინო-ელი "კოლეგისა" და ძმათა მისთა საყურადღებოდა დასმული, თუმცა ვეჭვობ, რომ ოდესმე შეისმინონ და მით უფრო - გამეცნ პასუხი.

ბარემ აქვე ერთ პატარა ამბავსაც მივაყოლო, რად-გან ისიც ამავე კონტექტსში ჯდება, თუმც ქრონოლო-გიურად წინა ორივეზე ადრეულია.

ყველა მომხმარებს ასსოვს, იმედა, 1978 წლის 14 აპ-

რილი. მღელვარებაა თბილისსა და მთელ საქართველო-ში: ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის და-საცავად ახალგაზრდობა ქუჩაშია გამოსული. უფრო-სებს არ დაგვიწყებია 1956 წლის 9 მარტის მხარე გა-ვეთილი, შვილები ქუჩაში არიან და ჩვენ რა გავაჩე-რებს შინ?

მთავრობის სასახლისაკენ გავრბივარ, იქაა ეპიცენტ-რიო.

მათამინდის ვინრო ქუჩებში, ვიცით, ტანკები და მერვე პოლიცია განლაგებული.

რუსთაველის პროსპექტზე ნაცნობი მხედება, ოთარ ბერიძე, თავისი პირველკლასელი თამუნიათი. გაკვეთი-ლები ჩაშლიათ სკოლაში. ოთარი თვალს მიგრას და მეწურწუბედა, ჰკითხე ერთი ბავშვს, რა ხდება-თქო. მეც ვეკითხები, თამუნია, რა ხდება-მეთქი.

- დედეანს გვართმევენ! - სასაცილო ჩლიფინით მი-პასუხებს თამუნია, რაღაც არაბავშვურად აღელვებული. მთავრობის სასახლესთან მიახლოება თანდათან ძნელდება, სტუდენტობითაა იქაურობა გადატენილი. მათში მგულუბაა ჩემი უფროსი შვილი და უკლებლივ ყველა მისი მეგობარი.

მიუხედავად ხალხმრავლობისა, ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამონოლილა ირგვლივ უკანდახევას არავინ აპ-ირებს, სასწორზე ერის არსებობა და ქვეყნის ბედია შეგდებული.

"დასხდები!" - გაისმის მონოუნება და ყველანი ძირს სხდებიან, ქვაფენილზე. მეც ვჯდები, ცხადია, სათუბელ ნელკავი მანუხებს და ძალიან მიჭირს.

ერთი ჯგუფობა რჩება ფეხზემდგომი, დაახლოებით ოცკაციანი; ქალებიც ურევია; უხმოდ უღერებენ მუშ-ტებს მთავრობის სასახლეს, აშკარად აღშფოთებულნი; ერთმანეთსაც უხმოდ, ენერგიული ყესტებითა და მიმი-კით "ესაუბრებიან" - ვერა-უფუნჯები ყოფილია, ესალაა ხვდები; მაშ, რალა აღელვებთ? მათ "ენას" ხომ არაფე-რი ემუქრება? და მაინც აქ არიან, თავის ხალხთან - აი, ეს მესმის! უცებ ვშვიდდები და გულს მტკიცე რწმუნა მივსება: ვერა, ასეთ ერს ვერასოდეს მოსპობს თუნდაც საკუწრუანი პოლიტიკური ბოროტება, ცივი, მომწესხავი ქვეყნით რომ უბერავს ჩრდილოეთიდან, სა-იდანაც ზოგისთვის, თუ კი საჭირო ხდება, თურმე მზეც ამოიღს.





# ნესტორის გოგლო ისა

რამდენიმე დღეში გამომცემლობა "არტე" დაშა ბუღაძის მოთხოვნების ახალ კრებულს გამოსცემს. "არილის" მკითხველს ვთავაზობთ ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ მოთხოვრებას კრებულისა.

ჩემი ერთი ნახევარი ახლანდელ ინგოროცვას ქუჩაზე გაჩნარდა - თითხმეტ ნომერში. მეორე ნახევარი - ვაკის ბოლოს. თუმცა, აქ მეორე ნახევარს არც შევცხებით. თბრობა, გპირდებით, მთანმინდას არ გასცდება.

ინგოროცვას ქუჩას ადრე ძერუინსკის ქუჩა ერქვა. მანამდე - პეტრე დიდის. ხოლო პეტრემდე, ანუ მთლად ადრე, ლაბორა ტორიის ქუჩადაც მოიხსენიებდნენ. მანამდე აქ ქუჩა არც იყო. აქ დინოზავრები ცხოვრობდნენ.

ჩემი ერთი ნახევარი კაცკამია ჩეკისტის სახელობის ქუჩაზე გაიზარდა. იქ ატარებდა ნახევარ დღეს, იქ ძღებობდა საქმლით ნახევრად და იქ ისუნთქავდა ცალი ფილტვით მთანმინდის გამჭვირვალე ჰაერს.

ეს უღამაზესი სახლი - ოცესლაც დიდი ბრიტანეთის საკონსული - მწვანე ატლანტების მხრებზე აგებული - დღეს დანგრევის პირასაა მისული. მინისძვრის შემდეგ გაჩენილი ბზარებიდან მტკვრის მარცხენა სანაპირო მოსჩანას უკვე თუკი დროზე არ მიხედეს შესაბამისსა სამსახურებმა, თითხმეტ ნომერი - ან პავლე ინგოროცვასი - ისევე როგორც პირველი, მეზუთე და შერომელილაც, შესაძლოა, თავზე ჩამოგვეშოს...

ამ მოთხოვრების მაგიერ ბარემ საჩივრის ნერილი ხომ არ დამწერა ქალაქის მერის სახელზე?

ქ. თბილისის მერს,  
ბატონ...

...თუმცა, არა. ნერილების ნერას შესაბამისი გუნება-განწყობა უნდა, ჩვენ კი, ბოდიში მოგვითხოვია და, ამჟამად სხვანაირ ხასიათზე გახლავართ. გარეთ მზე იმასაშურება, ბაღლები ეზოში ცელქობენ და მელნის ტბაც მოგონებებით იგვება...

ჩემი ერთი ნახევარი ოთხიოდე წლისაა. წინაპარი ასე იძინებს: არილობს და თვითონაც ერთობა.

ბაღლის კისკისი, ანუ ჩემი ერთი ნახევრის მსუბუქი ცელქობა აცოცხლებს ძერუინსკის თითხმეტს. უზარია ყველას - სულიერსა და უსულოს - პლასტმასის ტაშტებიც კი რამდენადაც შესაძლებელია - ალერსიანად მილიმიან. შხოლოდ ერთია აქ განრისხებული, მეორე სართულზე მცხოვრები დედაბერი - თითქმის ასი წლისა და ათი ათასი ნაოჭით დაღარული. მომავინეთ! - დაგვჩავის ბოროტად, - თავი გამისკდაო.

ჩემი ერთი ნახევარი შემინებული ჩუმდება. გალიზიანებული წინაპარს სახლში შეყვავარ. გზაში ჩურჩულით ლანძღავს მეორე სართულის დედაბერს.

მე ვკითხვები:

- ის ქალი ვინაა? - ბუნებრივია, ენისმოწლიქით-წინაპარი უცნაური სიტყვებით მმასუბობს;
- ბერიას დროს დამშენი იყო.

ეს ამბავი ამ დედაბერზეა.

"დამშენი" - ეს სიტყვა მაშინ უცნობი იყო ჩემთვის.

"ბერია" - ესეც ვინ იყო და რა იყო, წარმოადგენა არ მქონდა. თუმც, ორივე სიტყვა დავიმეხსოვრე.

მეორე სართულის დედაბერი, პირადად მე უფრო სწორად, ჩემს ერთ ნახევარს, არც მეტი, არც ნაკლები, კუდიანად მიაჩნდა.

ბაღლებს, რასაკვირველია, გვემინოდა მისი, უფროსების კი სძულდათ.

ის იყო ერთი ბუნე. დამჭანარი. მთლად ჭაღარა და კუ



ზიანი. მისი ოთახიდან მარტო ხვედლება ისმოდა.

ნახევარი იყო. იყო ის, რაც ეზოდან ჩანდა. მეორე სართულის აივნიდან გადმოგვეყურებდა და უაზრო შენიშვნებს გვაძლევდა. ქვე- მოთ ჩამოსული არასდროს გვინახავს.

ხუთ წლამდე მისი მეშინოდა. მერე დამავინყდა. მერე ისევე გაბახსენდა და შემეცოდა. მერე აორთქლდა. კიდევ ერთხელ დამავი- წყდა.

ახლა გამახსენდა და ვწერ კიდევ მის შესახებ.

რა არ ვიცოდით:

- სად დიბადა?
- რომელ წელს?
- მშობლების ამბავი?
- აქ როდის დასახლდა?
- რატომ ცხოვრობდა სრულიად მარტო?
- რა უყვარდა?
- რითი ერთობოდა?
- ვის ენდობოდა?
- რითი ავადმყოფობდა?
- წერა-კითხვა თუ იცოდა?
- ან ჭრა-კერვა?
- სადაური იყო?

ვიცოდით:

- მისი გვარი.
- სახელი.
- მამის სახელი.

რომ იყო ჩამშენი, რომ იყო თვით ბერიას საყვარელი (ჭორის დონეზე) და ბოლოს, მთავარი: ერთი კაცი რომ უყვარდა.



თუკი რაიმეს შევებოდნენ დედაბერის შესახებ, ჰყვე-  
ბოდნენ მხოლოდ ამ ამბავს - ფრიად ტრადიციულს და კო-  
მიკურულს ამასთანავე - ნაფ, უსაბუთოდ და დაუფერებელს.

მეც არ დაიფერებო უცნა თქვენი ჯერია.  
პირქუში დროება იდგა. სახელმწიფო სასაკლავოდ გა-  
დადევია ბოროტ უღვაძას.

ტყვილისში კი ოპერებს დამამწენ.  
ფრანგი ჟორჟ ფერმონის იტალიურ არიას რუსულ ენა-  
ზე ისმენდა მარტოხელა ქალი. შვიი თმა ჰქონდა და კე-  
ხიანი ცხვირი. მოკლე იყო, თუმც, უწინი არ ეიქმებოდა. მაგ-  
რამ ლამაზიც არ გხლბდათ.

ინფორმაციისთვის:  
მას უკვე მოესწრო და დაებეზულებინა ორი მეზობელი,  
ერთი საბავშვო ბაღის გამგე, ოთხი არტისტი, ერთი ფოს-  
ტალიონი, ექვსი უსაქმური, რვა ლოთი და თორმეტი მო-  
ცემე-... უფრო სწორად, თორმეტი უსარტიკო-...

პურის ნამცხვებს უმიშროება უყრიდა. უბედური იყო.  
შესაძლოა, გვიც.

ჟორჟ ფერმონი კი მღეროდა:  
"ტიი ზაბილ სვოი კრაი რადნიოიი..."  
ჯ. ვერიდ საფლავში ბრუნავდა.  
და აი,დაპკვილა მსუქანმა აღფრეივმო და მეორე აქტიც  
დაბათავდა.

ჩამოვევით ბუფეტში. გეახელით რაღაც ჩალას. თვა-  
ლებს ვაცეცებთ. დასაბეზულებელს ვეძებთ. პირველ პირში  
წნორი. ქალის მაგივრად ვლამაზაკობთ. მონიტორილენტი  
საზოგადოება საცოდავად იცოვრება ოპერის ბუფეტში.  
ულავმას მონები ვართ. გვეძულს ერთმანეთი. ვიღაც გვეკავ-  
ნება. გვემოდიშება. ხოხი კიდევ ერთი მონიტორილენტი.  
მზრებთ მოხრილი. ცხვირზე - სათავად მაპატუო, ამბობს.  
არაფერია, ვასუსობთ. კაცები დიდად არ გაინტერესებს.  
კაცსაც გააჩნია. ერთხელ, ერთმა ჩეკისტმა მოგისაძინა ამა-  
ვე შენობის ტულეტში. ერთხელაც, თავადვე მიიკაცება. ეს  
იყო და ეს. თუმცა, კიდევ იყო რაღაც-რაღაცეები. მონიტ-  
ორილენტი? ცუდად გვიყვარს. მერმე თვალებს შპრის. და-  
ბეზულება არ უნდოდეს! ხოხი სასაცილოა... ტრინწი - შესამე  
ზარი გვიმბობს. შევდგარით დარბაზში. ევადებით. თავს  
ცუდად ვგრძნობთ. გულს გვიანაიშებს ცოდავმა სირბილვე.  
მესამე აქტი იწყება. ბოშების მაგიერ კოლმეურენ ქალები  
გამოიდან სცენაზე. ქართულები ქალები ვერის მღერინ  
რუსულ ენაზე აგერ, ვიოლაც - ქლექით გათანაგული. აგ-  
ერ, აღფრეივც - ტენორი ხრწნით. რა გვემართება? მუ-  
სიკა ვეჭრისა გვიხოვს. გეახსენდება დაბეზულებულნი. განე-  
ლილი ცხოვრება. მარტოხელა. შიმშილი. ტანჯვა. მკვდარი  
მშობლები და გამშობარი პური. უფრო სწორად, ყუა. აბა...  
ფერმონიც მოვიდა. რასა შერებობ, ვაიფიელის მიმართავს.  
ყველანი მღერინა. ჩვენ ფტორით. აღარ შეგვიძლია. ცოტაც  
და დასრულდება მესამე აქტი. მტკვარში უნდა გადავხტეთ.  
ეს სიცოცხლვე უნდა დავასრულოთ. მომავალში რა გვე-  
ლის? არც რა. ვიოლა მღე-რის. ვაიცი და მამაც, კოლმე-  
ურენ ქალებიც მღერინა. ჯ. ვერიდ საფლავში ბრუნავს.  
ჩენ კი ღვარად ჩამოგვიდის ცერმლები. ბოროტები ვართ.  
რამდენი ადამიანი დაგვიტულავს! მარგამ რა გვენა? სხვა  
გზა არ გვეჩრდა. ან ჩვენ, ან ისინი. სულ ტყუილად გვა-  
დებენ კატებს, ჩვენ ხომ მგლები ვართ! აუტანელია. გე-  
ყო. გული არ გაგვისკვებს. ფესზე ვდგებით. ინტელიციენტებს  
ვევდიშებთ. გასასვლელსკენ მივდივართ. კვლავ ფტორით.  
ჩვენში ქალმა გაიღვიძა. საცოდავმა ქალმა! ოპერას  
წივოვებთ. ჯოჯოხეთში გამოვდივართ. ტრამეგას ამბავით.  
ავიფრეთუ დავუნევი? უფრად ხმა გვესმის: "სამანაგო!"  
ვინ ოხერია? "ცხვირსახოცი დაგივარდათ." ჩვენა? ჰქონდა  
კი? ფლენტი მკლავით ვიშორებთ. ბოლშევიკური ჩეკვა. ის  
მონიტორილენტი. მზრებთ მოხრილი. ცხვირზე სათავადი.  
გვაძლევს ცხვირსახოცს! მადლობას ვამბობთ. ვუღიძობთ კო-  
დეც გაჭირვებით. სანყლად. კვლავუცნა მენწყვებს თან  
გავაბნებთ. ტრამეგავით ავიდვართ. კუფით ვგრძნობთ: ის  
გვიყურებს. მოვეწონეთ? რა დრის ედა! არავითარ შემთხ-

ვევაში! ანკი, რა გავატეს მოსანონი? არც რა. ტრამეგა მი-  
დის. აქეთ რა გინდოდა? ტრამეგაში რატომ ჩავეყვით?  
ჩენი სახლი ხომ ორ ნაბიჯზეა. დავიხუნით? მონიტორილენ-  
ტიმ დაგვაბნია? ფუი, სირცხვილი!

ღამე ფტორით. უმიზნოდ. თუმცა, რატომ უმიზ-  
ნოდ? მიზეზი ბერეი გავატეს.

გათენდა. ტრამე დავიძინეთ და გვაძობთ გაგიღვიძეთ.  
გვაძობ ჩვენა ვართ, საფლავი ჩენი საწოლია. მინც ვცოცხ-  
ლდებით. მსხვე-რალს ვეძებთ. მსხვერპლი თავად ვართ.  
აღარ შეგვიძლია ამგვარი სიცოცხლელ მავრამ სიკვდილც  
არ შეგვიძლია.

ქუჩას მიუყვებით. ცოლიდ ვართ. თოვრამი დილის  
სამეტყალია. ოპერა? მონიტორილენტი? სხვირ ცხვირსახო-  
ცი? სიხსულელა! რასა მღერინა? "პიონერის ფრიადი!" -  
ოპერა ხმა მოქმედებდა. ფესზე ვხარებოთ, გული დარბა-  
ზისკენ იწევის. ბილთს ვეფულობთ. შევდგარით. თვალებს  
ვაცეცებთ. გვიკვირს აქ რა გინდა! გერცხვენი. ბალებებს,  
მათი მშობლებისა და ჩენს მტეი დარბაზში არავინა. გა-  
მობს დირიჟორი. ამას, სულ ცოტაც, ათი კაცი მინც ყე-  
რილება დაბეზულებული. ტამით ვხვდებით. ორდენისანია. ის-  
მის მუსიკა. სიჩქურე - კუჩის ცხოვლი. მავრებელს შია.  
პიონერი საშა თავის არიასა და სტრატეს ვევიძლებს. მე-  
რე ფიზკულტურის მასწავლებლისა და მისი დედაცა. პირ-  
ველი აქტი მშობელთა კრებით მიავრდება. დედების ომა-  
ხიან ქორის მონყენილი ტამით ვასუსობთ. აქ დარწმუნ შე-  
უდებელია ვდეგებით. ჩენ და ჩენი გვაძობ დარბაზიდან  
გავდევით და გასასვლელსკენ მივლასლებთ. სიტყვა  
"მივემართებით" ჩენი ამჟამინდელი მეგობარობისათვის  
შეუფრებელია. უფრად - თუმცა, უფრად განაძობ არაფე-  
რია- გვესმის ხმა: "სამანაგო!" ნაცნობი ხმია ამ ხმის  
გამო არ მოვიდეთ აქა? ერთი ბრუნველ და მის თვალზე  
შევეფრებთ. ასეც ვფრებთ. ფტორილენტი. ჩენს წინა-  
ზე მონიტორილენტი დგას. მზრებთ მოხრილი, ცხვირზე  
სათავადი. დიდება შენდა! "დაბა, ვესმინო!" - ვამბობთ ჩენ  
და თითქოს ვგრძობთ, თითქოს გვინა, ის იღვიძება. მცირედ  
პაუზას გვაგებებს პასუხად. მერე კი სცერის: "ამჯერად  
ცხვირსახოცი არ დაგვარდნიათ..." უი, ხუმარა და თამამ  
ფტორი ყოვილას ანუ, სიტყვა მან ამ შაირის, გუმიდენი  
ცხვირსახოცი ამბავი მხოლოდ მიზეზი იყო თვენი გაც-  
ნობისაო. მაშ, თავი მოკვანინე, არა? იღ, იყოს ასე. ვალი-  
რებით: მოვეწონებართ. მის შაირს კისკისას ვაუთავებთ  
და შემდეგ სიტყვას ვეძებთ, ჩენცა და ისიც. სიტყვაც იბადე-  
ბა:

- არ მოვეწონათ?
- ვი რო... არა.
- არა... არა... არა და, არც მე.
- ვისი ოპერაა? პროლარამაში არც ჩამიხვდავს.
- ტრუშნიანის... არ გეცოდინებთ. მუშაბუნ იყო. შარ-  
შან დარბაზ დონნასაო. ოპერებს შახტაში სწენდა. ომის  
დრის, გერმა-ნელებს დაუჭერიათ და ნოტებიც იმათთან  
უსწავლია, ცისმეი.
- თქვენც მუსიკოსი ხართ?... თუ, უბრალოდ, მცოდნე?
- არა... ხიხ... მე მხოლოდ დილომანი ვარ. ჩემი პროფე-  
სია მუსიკის სიყვარულია. მივლომთ ფილოლოგი გახლა-  
ვართ. ვე- დავოგობ ამ და ამ სკოლაში.
- სასიამოვნო...
- მქვია ნესტორი. გვარად ტაკიძე ვარ.
- ესეც მსიამოვნებს...
- და თქვენ?
- მე რა?
- თქვენ რაღა გქვიათ?
- ახ, სახელი? ესა და ეს.
- ვიცი, რომ რასაც ქალი შაირს, კაცს სწორედ ის  
ანტეფრებსებს ყველაზე გეტყვით...
- ჩემს ძაასა ახლავ გეტყვით...
- ხა-ხა... არა, ეს არ მიგვიღისხმია. ნურც რამე მანკე-  
ერს გაივლებთ თავში. მე თქვენს თვალებში ფარულ



დარდს ვხედავ რაღაც საიდუმლოს. რაღაც მიღმიერს... მაპატიე, მე მოვიწყობ.

- გიყვართ "ტრაგიატა"?
- ვერდი თავიდან ბოლომდე ჩემია.
- უცნაურად ლაპარაკობთ...
- ეს ცუდია, თუ კარგი?
- სპეციალურად შერჩეობ?
- ღმერთო ჩემო, რასა?!
- სპეციალურად ლაპარაკობთ ასე უცნაურად?
- ვლაპარაკობ ისე, როგორც ვლაპარაკობ. ჩემი სენი გულწრფელია.
- თავისებური ხართ...
- თქვენ კიდევ არ იცნობთ ნესტორ ტაკიძეს.
- ჭეშმარიტს ბრძანებთ...
- თავისუფალი ხართ?
- როდის?
- დღეს... საღამოს.

თუკი ვეტყვით, რომ თავისუფალი ვართ, მერე ბევრ რამეზე მოგვიწყობს კის თქმა. სჯობს ასე ვუთხრაბო: " უკაც-რაგად, დაკავებული ვართ, არა გვცალია."

- დაბა... დღეს საქმე არა მაქვს.
- მაშ, ვეგებ გაგვეყვინრა...
- სად?
- სადაც გნებავთ. კინოში წასვლაც არ იქნებოდა ურცხო.

- რა გადის?
- \* - "ლენინი ოქტომბერში", რალათქმანურად.

ეს "რალათქმანურად" არ მოგვეწონა. თუმცა, რასაკვირველია, დაეთანხმდით.

მივღე დღეს ვისყირნეთ. ესაქამეთ ნაყინი რესტორან "თბილისი" სწრაფად ჩაფურთეთ. სადა აქეთ პედაგოგებს ფული ვიცინეთ. ვისურეთ. ნესტორმა გაგვარიო. სიმპათიურიც აღმოჩნდა... დაკუნთულ-დაძარღვეული ყელი აქვს. ქუჩაში ბევრს ესალმება. ყურადღებიანი კავალერია. დუმილის დროს, უკვე მოვასწარიო და რამდენჯერმე მრავალისმთქმელად ჩაზედგეთ ერთუთოს თვალბეში. კინოში ხელზეც შეგვეხო. ვფიქრობდით, რომ დღესვე გაგვაცობდა. ასე არ მოხდა. სახლადვე მიგვაცილა და მხოლოდ ლოყავი შეგვახო ცხელი ტუჩებით. ჩვენი აზრით, ამიტომაც შეგვაცვარათაი.

მივლი ღამე ძილში ვბორგავდით. ნესტორი გველანდებოდა. ნესტორ ტაკიძეს ამხანაგი ნესტორ ვილაცის ძე ტაკიძეს ნეტავი, მამის სახელიც გვეკითხას ამხანაგი ნესტორი... ნესტორ! ჩემო ნესტორ... ო, ჩემო ნესტორ... აგვეკვიტეს!

მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიის ნომერი გამოგვართვა, მერე დღეს არ დავერეკავს. გვანერვიულა. სკოდნია გველს მამაკაცური ფოკუსები ორ დღეში გამოიწადა. დარეკვა ვცინდით, რომ გაბრუნული ხმით გველაპარაკებდნენ ვერ შეეძლებო. გვიხარადა მისი გამოჩენა. ოპერაში დავეპატიუა... "ტრაგიატაზე".

თითქოს წლები ჩამოგვეფრთხათა ნესტორმა. გაგვასენა, რომ დედაკაცი კი არა - ქალი ვარ...

- ჩვენ ხომ "ტრაგიატაზე" გავიცანიო ერთუთოი. - ყურში ჩაგვჭურწულა ნესტორმა უფერტორის დროს.
- დაბა, მასკა, - დასტურეყვავითი ჩვენცა.
- ყოლიონი კი ვწვნიოდა...

მერე ვიოლაც გამოჩნდა. თან მღეროდა, თან ასველებდა. რლიო მჭირდა ასეთი.

პირველი აქტის ბოლოს ნესტორი ჩვენსკენ გადმოხარა და ყურის ქვეშ გავაკოცა. ჩვენ ურუანტელმა დაგვიარა ტანზე.

მერე - უკვე გარეთ - ხესთან მიგვიმწყვდია და ტუჩი მოგაგაზობა. ჩვენ, ჩვევისამებრ, თვალბეში დაჭეუჭეთ. ის კი გვიყურებდა. მომწონს ყურებო.

- ნესტორ! - გავიერეთ, - მე ხომ თქვენ არ გიცნობთ...
- მიყვარხართ, - გვასუსობს, - მამატიეთ... ეს სიმართ-

ლეა. რას გუებუნებთ ინტუიცია?

- რაა?
  - წინათგრძნობა...
  - არ ვიცო...
  - გული გივანცქლებთ... ო, ჩემო ყველაქ ერთავ ჩემო...
- მე მარტობულა კაცი ვარ... მოსუცებულ დედასთან ერთად ვცხოვრობ... ვედაგოვობ, მაშვეებს ვასწავლი... მქვია ნესტორი... ნესტორ ტაკიძე აბა... ახლა ხომ მიცნობთ?!
- პაპა-თ... ხუმარა ბრძანდებთ...
  - დამიჯერეთ, არ ვხუმრობ. ო, ღმერთო ჩემო, მძულს ეს "თ"... მძულს ეს უაზრო ტრიკეტო... ყოველგვარი თ-ს გარეშე მიყვარხარ, ჩემო!

კვლავ გვეკონინს.

- თქვენ ხომ მე არ მიცნობთ! - ვაწერებთ მეორედ.
- მიტომაც მიყვარხარ. - გვასუსობს ღმობილი. რატომ-ღაც თვალბეში ცრემლებით ვცხება.
- სტირით?

მე ვჯამბაში ვარ. ხან ესტორი, ხან ვიცინი. ხმას აღარ ვიღებთ. ერთმანეთს ვკოვნიო.

- ჩემთან წავიდეთ...
- შენთან? - "თ" ჩვენც მოვიპოვეთ, - შენთან ხომ დედა...
- დედას არ ესმის... ყრუა.
- ბრმა ხომ არაა!
- მაშ, რა ვქნათ?
- მეზობლები...
- რაო?
- არაფერი... ხმამაღლა ვფიქრობ. მეზობლებს მეშინია... თორემ, ჩემთან ავიდიდიო.

- მეზობლების მეტი არავინა გვაცას?
- ხომ გუებუნებოდა, ჩემს შესახებ არაფერი იცო-მითქო.
- ობოლი ხარ?
- ნესტორ...
- მამატიე იყავ გულგრილი. ნამობი, შენსას ავიდეთ.
- ბავთობო შენი ვენებო...
- მოდი... საკუთარ თავს დღეს მეც ვერა ვცნობ...

და კვლავ დაგვეკონცა.

უცრედ გავკითხა:

- ქალიშვილი ხარ?
- უა...
- მეტმის... უკაცრავად. მიყვარხარ.

ოცობდ ნუთში ძყრენისკის თობსმეტში ვიყავით. კიბეზე, რასაკვირველია, ფეხბურთით ავიდით. ბინაში შესვლამდე დავეწყეთ ერთმანეთს ტანსაცმელს გახდა. პირველ ჯერზე ნესტორის წინდები არ გაუხდია. გახვრტილი წინდებიან ცირც მოუწინადა. ეს დეტალი მერე გაგვხსენდა. იმ დღეს ეს ცირი არც კი დაგვასახავს. სიყვარულმა თავბრულ დაგვახვია. ჩუმად გავატრია და ჩუმადვე გვათქმევინა სამი მადლობა.

- მადლობა... ნესტორ... მა... დლო... ბა... ნეს... ტორ... მ... ა... დ... ლ... ო... ბ... ა... ნ... ე... ს... ტ... ო... რ...
- არაფრის, ჩემ... როგორ... გვეპადრება...
- მიყვარხარ! - ვიქვ ვთქვით.
- მეცა...

მერე გავაბოლეთ. ჩვენ ლაპარაკის ხასიათზე დადევქით. მან მოიწყინა, თუმც, მზარი აგვინა. ცოლად გამომყვებო?

- ესუც კი გავკითხა. ჩვენ ჩვენი ცხოვრების ამბავი მოვეყვით, ოლიონ, ზოგადედ. მან - თვისი.

- თითქოს ზღაპარში ვარ, - გამოთქვით აზრი, - რალაც მეტისმეტად სწრაფად მოხდა ყოველივე...

ვიგარებო, მან ჩამოგვხედა - ჩვენი კვლავვე გველოთათვი- ეს ცუდიაო, თუ კარგია, გვკითხა. რა? სწრაფად რო მოხდა ყოველივე არ ვიცო... - გულწრფელად მივუგეთ. მერემო სხვა დ სხვა თემას შევჩეთ: ქალობას, კაცობას, ადამიანობას, ცხოვრებას, გაჭირვებას, მის ბრუციანობას, კინოს, თეატრს... ბოლოს, მუსიკასაც.

- ჩემი, როგორც გითხარი, ვერდია... ოპერაში ვერ-



დი. სიმფონიურში ბეთოვენენ... ისე, შოპენი. მეზობლებთან თანამდროვნები

ნესტორმა სცილილი დაიწყო: ერთმა ბალეტსაც კი დასწერა: "კამოს სიკვდილი"... გონებ, გვარად პროტოვმა... ყველაზე დიდხანს ქაქის ჭამის სცენაზე უმუშავია... მაშ ბალეტის კულმინაციაც სწორედ ეს არის... გედები ცეკვავენ... კამო კი ქაქსა სჭამს.

ჩვევს ვიცნობდით. ნესტორ ტაკიძე ნიჭიერად ხუმრობდა. მერმე გვეცა, ვითარცა ტახი, და დილაზედ ოთხგზის გვასახელა. ჩვენ ვმშობდით, კახა არ ვეგონო - რადგან ასეთი წამდევილად არა ვართ, ამიტომ ვიხივით: " გიყვოვა, ნესტორ... გიხოვ, დამასენო..."

მგონი, შეგვიყვარდა. მგონი, მართლაც შეგვიყვარდა ნესტორ ტაკიძე! მშობლიური პარტია, მგონი, მარში გავცვივით...

- ო, ნესტორ! მე მკვდარი ვიყავ და შენ გამაცოცხლე...
  - ჩემი შენ გითხარო, ყველაზე ჩემო, ერთად, ვაჩვენებ...
  - ეს მე ვიყავ მკვდარი და არა შენ...
  - გაილომა გინდოდა და ვერა ვძლებოდით...
  - მიყვარხარ-მეთქი...
  - პაიტ, საბაგელო... მეცა!
  - აქეთ მო...
  - ცხვირიდან ვერ სუნთქავ?
  - ცხვირი ბაღლობიდან უფუნქციო მაქ.
  - ნესტორ, რად შეშვდვი?
  - ღმერთმა იწება...
  - არსებობს კია?
  - ვეჭვობ, არ იყოს.
  - მამაშენს რა ერქვა?
  - რად გინდა?
  - ისე...
  - ივლიანე... იულონი ანუ,
  - ნესტორ ივლიანეს ძე ტაკიძე... გასაგებია.
- გამთინიხას ჩაგეძინა მოლოდ.
- ცხადი და სიზმარი ერთმანეთს შერწყმოდა. ეს არ ჰგავდა არც ძილს, არც სიფიზებს, - ჩვენ მიწასა და ცას შორის ვცვივდით. ჩვენს სხეულს ეძინა, ტვინი კი ფიზიკობდა. სახეხატებანი თავს დაგვხვეოდნენ: ნესტორი, ოპერა, შინასხეობი... ბელადი... მეზობლები... ლიფი, იქვე მიგდებულ... გვიყვარს? არ გვიყვარს?... გვიყვარს კი?... არა?! და მინც ეჭვი... გულსა და სულს გვიღირდნის ქალური ეჭვი - ხომ არ მოგვატყუებს ხომ არ გავგავტყუებს!
- თითქოს მთავრულად ვიქცევით. უფილაგმა ძალამ ლოგინს მოგწყვიტა. გადახედვით სატრფოს - მას მშვიდად ეძინა...

- ო, ნესტორ... მართლა აქა ხარ, თუ მეჩვენები?

ჩვენმა შიშველმა სხეულმა სამზარეულოს მიაშურა. შეგრძნება იყო ისეთი, თითქოს მიგფრინავდით. აგერ ონკანი, აგერ ფანჯარა, აგერ მაგიდა, უჯრა, ფურცელი, საშელნე, კალამი...

ჩვენი ტანი მაგიდას მიუჯდა, წინ ფურცელი დაიდო, კალამი მელანო წიწკანო და წერად იქცა...

თითქოს ლექსს ვწერდით...

*"ამს. ვ. ს. მამულაშვილს,  
ამხანაგო ვალერიან სვერიანეს ძე!  
თავადაც კარგად მოგახსენებთ, თუ რამდენი მტერი ჰყავს ჩვენს დიად სამშობლოს და პარტიას, დიადს ასევე. მოლაღატეებს არ სძინავთ! მაგრამ არც ჩვენ გეძინავს, პატივცემულო!*

ამა წლის 4 ოქტომბერს მოქ. ნესტორ ივლიანეს ძე ტაკიძემ აუჯად მოიხსენია გმირი და, ჩვენი აზრით, გმირზე მეტიც - კამო, ეს ჭეშმარიტად დიდებული შვილი თავისი ერისა და საბჭოეთის ერთ-ერთი მამათაგანი. მოქ ტაკიძემ ოთხიოდე უსუსური სიტყვით მოგვიკლავა გული. მან სთქვა: კამოს - მამატივე, დიადო- ქაქი აქვს ნაჭამიო. მერმეთ დასცინა კროტოვის

ბალეტს "კამოს სიკვდილი" და შეურაცხყოფა მიაყენა ზოგადად ოქტომბრის რევოლუციას.

ვინ არის მტვის ასაგდები?  
ვის უბედავს ეგ დაცინავს?  
გაცივებას ვართ პირდაპირ!  
ამს. ნესტორ ივლიანეს ძე ტაკიძე გახლავთ პედაგოგი. უფრო სწორად - ვაიბუდაგოგი! რას უნდა ასწავლიდეს ეგ უსწინდისო ბავშვებს! რა მაგალითის უნდა ასწავლდეს ჩვენს მომავალ თაობას! ამბობს, ფილოლოგის დიპლომი მაქვსო...

უკან გაცივებთ ეგ დიპლომი, საბავშვო მავან! ნესტორი, ალექსებულე ვარ, მიჭირს ზიზლის დაფარვა ერის მოლაღატის მიმართ...

მამას, ჩვენს ჩივილს ყურადღებას ძვირფასი შინსახკომი და სამეფოლც შესაბამის ღანაჩენს გამოუტანს მოლაღატე ნ. ი. ტაკიძეს.

პატივისცემით,  
ინფორმატორი."

ნერტლი დავსვით. მოვისვენეთ. შთაგონებაც ამახსენებ!

ეს, მერამდენედ უნდა მოგეტყუებდეთ ასე! არა, არა... სანამ ბოლოზედ არ გავფრვევით გრძობებში, მამაკაცს ლოგინში არ უნდა ჩავუწვდეთ...


ნესტორის ეძინა. დედიშობილა დაშმენი მის გვერდით მიწა. საბანი თავზე წაფარა. ნესტორს გამოეღვიძა. დაშმენმა გაუღვიძა. გაილომა ნესტორმაც. თქვა: "რომელი საათია?" ძილისგან პირი აქოთებოდა. "ჯერ ადრეა!" - უპასუხა დაშმენმა და თავი, უფრო ზუსტად, ცხვირი- კედევ უფრო ღრმად ჩაშალა საბანში.

ნესტორი სამ დღეში დაიჭირეს. რა აღარ დააბრალებს კამოც უსწენეს. ნესტვი ვინ დამასწინაო, ფიქრობდა სანყალი, სატრფოვო ეჭვი არც ჰქონია.

ქალი კი მარწივლითა:

ნესტვი, ნესტორს მართლა შეუყვარდით, თუ გაატყუებდაო?


2003, ივლისი





პოლიტიკა

სიმაღლე გითხრათ, როდესაც შინამოსამსახურემ კრძალვით განგვიცხადა პროფესორი დღეს გადაიღალა და ისვენებსო, თვალწინ წიგნის თაროებით დაფარული კედლები წარმომიდგა, მათ შორის კი ძველებურ სკამოვანზე ნაშრომილი პროფესორი, ბებერ მუსხელებზე პლუდი ეფარა, კალთაში წიგნი ედო და სათვალის მოუხსნელად თვლემდა. როგორც ჩანს, მოახლისათვის პროფესორი რაღაც ღმერთის მაგვარი არსება იყო, მიუხედავად ამისა, ჩვენმა ახალგაზრდობამ და ყალბმა მოკრძალებამ, რომელსაც ბევრჯერ ვუსწინვართ, გულისამაჩუყებლად იმოქმედა ამ დაუკმაყოფილებელი დედობრივი მზრუნველობით აღსავსე ქალზე და საგარძობლად შეაჩრია მისი უდრეკი პოზიცია პატრონის სიმშვიდის სადარჯოზე. ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც, პროფესორის სამოყვლელის კარს მიღმა მიმდინარეობდა, ნება დაგვართეს შეესულიყავით და სამასხურეობრივი ვალი მოგვებადა, რომელშიც იმ დროისთვის ერთერთი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერთა ხმების შეგროვება შედიოდა. უფრო ნათლად რომ წარმოიდგინოთ ეს რას ნიშნავს, გეტყვით, რომ ივლისის შუა რიცხვები იდგა, ტემპერატურა ცელსიუსით თითქმის ორმოც გრადუსს აღწევდა, ჩვენ კი წილად გვცხდა ბედნიერება სანახევროდ დაცარილებულ და მზეზე გადასურებულ ქალაქში კარდაკარ გვევლო ჩვენთვის ასე გულუხვად გამოყოფილ მისამართებზე და არც თუ ყოველთვის თავაზიანი მასპინძლებისთვის პარტიის ლიდერების წინასაარჩევნო დაპირებები და კეთილი სურვილები გადაგვცა, რომლებსაც არჩვენების შემდეგ ცხადია ჩალის ფხი ექნებოდა. ჩვენ ერთგვარი პარაზიტები ვიყავით პარტიაში - ეს იყო სახალისო, რომელიც მე და ჩემმა მეგობარმა იმ ზაფხულს გავილეთ, რომ ამ წყევლი ქალაქისათვის რამდენიმე დღით თავი დაგვედინა და ერევანში გადასულიყავით, თუმცა თვი გეტყვით ან იქ რა მრავალფეროვნების იმედუნდა გვეპოვება.



იმ შემთხვევებში, როდესაც კარს გვიღებდნენ, ან კიდევ უფრო იშვიათად - შინ გვეპატივებოდნენ, გვხვდებოდნენ მიაშიტებდა, რომლებიც ჩვენს პარტიასა და მის ლიდერში ქვეყნის ერთადერთ სხნას ზედადგენ - ასეთები ხალხით გვიცხებდნენ მხარდაჭერის ანკეტას, ყავას გთავაზობდნენ და დამშვიდობებისას წარმებლებას გვისურვებდნენ; სხვები თავიდან მოსაშორებლად საჩქაროდ აფხედნენ ზღაპრს და ნაძალადევი ლომილით გვაკილებდნენ; შედარებით ცნობისმოყვარეებს აინტერესებდათ, იყო თუ არა ჩვენი პოლიტიკური შეხედულებები ერთადერთი რამ, რის გამოც ვასრულებდით ამ დამატარებულ საშუალოს, ასეთ შემთხვევაში გულახდილობა საუკეთესო იარაღი იყო ამომრჩევლის გულის მოსაგებად; ბევრ მათგანს შეუცხდა ზღაპრი, უპოვარი სტუდენტებისადმი უსიტყვო თანაგრძობის ნიშნად; მართალია, ჩვენ გვაკლდა განაწამები პეშიმოწინეების ხიბლი, რომლებიც პარტიის აგიტატორების უნრავლელობას შეადგენდნენ, სამაგიეროდ ახალგაზრდები ვიყავით და ყოველთვის ვიპოვობდით ძალის ოპტიმიზმის საწინებლად, რომელსაც ჩვენი პარტია განასახიერებდა.

უზარმაზარ, ქურჭლით სავსე ძველებურ ხის კარაფა, ფართო, ღია ყავისფერი ქსოვილით გადაჭრულ დიფანსა და საფარძლებს შორის, კავშირი დაკარგულიყო. აქ თითოეული წიგნი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა, ეს კიდევ უფრო აძლიერებდა უაზრო ქარის შთაბეჭდილებას, რომელსაც სასტუმრო ოთახი ტოვებდა.

პროფესორის სამოყვლელის ზღერობელ მოკრძალებად, რომლითაც ეკამდე ვემუხტავდა ერთგული მოახლის დამოკიდებულება პატრონისადმი, მოულოდნელი სანახაობისგან განაწონულმა დაბნელობამ შეცვალა; პატარა, კვადრატული ოთახის ერთ კუთხეში უწესრიგოდ ეყარა ტანსაცმელი, რაღაც ღვედები და ფეხის პროთეზი. კედლიდან ლიტრიანი მინის ქილებით ალყაშემორტყმულ სანოლში პროფესორი იწვა, რომლის შესასვლელსაც, სხვა ყველაფერთან ერთად, სრულიად არ შესასვლელია ჩემს წარმოდგენას მოხუც სწავლულზე პლედითა და წიგნით. ბრუკ ტანზე ეკავილილი ზოგამა ეკვა, ხორცსავსე სახე მელეჯარებისაგან ნამოჭარბლდებოდა, იშვიათი ქალღარი ბუნუნები კი ოფლიან მელოტ თავზე ჰქონდა მიკრული. ჩვენს დამორგუწულ გარემოებს ისიც ემატებოდა, რომ პროფესორი მრისხანედ შემოგვეცქერდა თავისი სიმაგრედან და სრულიადაც არ ჩქარობდა დამსაგაძეფობა თავაზიან მასპინძელს. რამდენიმე წამის უხერხულო დუმილის შემდეგ გონება პირველმა ჩემმა მეგობარმა მოიკრიბა და ოთახის ბინადარს მიესალმა. მასუბის ნაცვლად მის სახეზე რაღაც საშუალო აღიბეჭდა მწარე ლიმილსა და დამკვიწვ მანქანს შორის. მიუხედავად ამისა, გადაცნევიტები, რომ იხტბარის გატყევა არ ღირდა და რიგრიგობით შევუდევით ჩვენი საფერმო გატყეზბოს

პროფესორის ბინა რიგით 23-ე თუ 24-ე იყო, რომლის კარზეც იმ დღეს ზარი დაგვრეკოთ. ვიდრე დიდ და გამოსუნებულ სასტუმრო ოთახში აქაურობის იდუმალებით მოვლულ პატრონთან აუდიენციას ველოდით, დაბალ მაგიდაზე მდგარი ლაგრიანი უხმაურედ აწვანებ ორიოდე თხილი, თან თვალს იმ კარზე მეყრა, რომელშიც უცნაური შინამოსამსახურე გაუჩინარდა. ბინაში მტერისა და უმოქმედობის თავისებური, დახუთული სუნი იდგა.



კითხვას. როგორც აღმოჩნდა ეს, იმ უიდელობათა ჯაჭვის დასაწყისი იყო, რომელიც უახლოეს მომავალში გველოდა; მოულოდნელად მოხუცმა დუმილის აღთქმა დაარღვია და ხრინწანი ხმით მრისხანედ გვეკითხა, რას ვაკეთებდით მის ბინაში და რა გვირდობა მისგან, მერე მკვირცხლად, თეატრალური ფესტით - ერთი ხელის მოძრაობით გადაიხადა საბანი, რომელიც ნელს ქვემოთ ფარავდა:

- აი! - მიგვითითა მტკაველით მუხლს ზემოთ გადაჭრილი მარჯვენა ფეხზე და ნინწისმოცებით მოგავიწროდა - აინტერესება, დავგვა თუ არა თავზარი მოულოდნელმა სანასაობამ; ამ გამოსდომამ ნინდახედული რომაელის დევიზის ყველა კვალი ნაშალა - საბედნიეროდ დროზე მოვახსარი თავაზიანობის ყველა ნების სანინაღმდეგოდ დღევნული პირის დახურვა, ჩემს მეგობარს კი ნაკლებად გაუმართლა, ის ჯერ კიდევ გაურკვეველ ტრანსში იმყოფებოდა. ამ გასაჭირში ვიყავი თნიშამისამსახურში რომ შემოხვდა, დახვეწებული ტანსაცმლისაგან ორი დაბალი სკამი გაათავისუფლა და დაჯდომა შემოგვთავაზა. იმ წუთის ყველაზე მტკბარე იქნადა წასვლა მინდოდა, სიმაღლივ გათხრათ, უფრო პროფესორის შემოღობა მზერამ გვარიანად დაბაოთნო, ამ უნდო სახლში სასწრაფო კვებით სავსე დასაშვები ზღვარი გადავლახა და მისი ბინადრები, სხვა მრავალი ადამიანის მსგავსად, გამოუსადეგარი და გაბოროტებულ სეპირებად ექცია. გულში დავწყველე ჩემი ბრიყული სამუშაო და ჩამოვეციქი.

პროფესორმა საბანი გადაიფარა და იქვე ლოგინთან მიყვანებულ ხელჯღოს გადაწვდა, ერთი პირობა თავში ბუნდოვანმა ექვმა გამოივლია, მაგრამ ამაზე დაფიქრება ვერ მოვახსარი, რომ მოხუცმა თავისი ხელჯგოხი ენერჯულიად დაუმინა ოთახის იმ კუთხეს, სადაც ვიჯექით:

- შეხედეთ - ჩვენს უკან, კარადასთან თვედრებულ-ლი თეთრი ფეხის პროთეზი იღო - ეს ჩემი საგარეო პროთეზია. ექიმნი ვარ, ფეხი ომში დაავადრც დღეს ვეცურანების შეტრებაზე ვიყავი ოფიცერთა სასახლეში... - ხელჯგოხი დაუშვა მოხუცმა და თავის ადგილზე დაბრუნდა სახლის ოთახან - ჩვენ ყველანი გამოუსადეგარი გვაქმენი გაჯებდით; ეს შეკრება ხომ სასაცილო იყო, ვის სჭირდებოდა მთელი ეს ბალაგანი - მეგონა რაზეც ვაკეთებდნენ - ტყუილად მიგვიყვანეს, რაღაცებს დაგვიბრუნდნენ; თვექნი არ იყოს, იმათაც ერთი რამე უნდოდათ - ჩვენს ხარჯზე დიდ პოლიტიკაში გაქვრომა, ვიბეების ამოცხება და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება! მძულს პოლიტიკა! პოლიტიკანებს მ წლიდან აღარ ვნდობო, როდენაც მამაჩემი ყალბი ბრავდებით დაიჭირეს და გაასამართლეს - უფრო ექიმის მრისხანებისაგან ამღვრულ თვალბში მოულოდნელი გონიერება გამოკრია - ომში თითქმის არც პოლიტიკა იყო, არც ტყუილი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ისინი გემართადნენ: ჩვენი მხრიდან ეს იყო თამაში თამაშისთვის, მაგრამ თავიდან რომ დამაყვინო არჩევანის წინაშე, მაინც ისე მივეტყვიოდი, როგორც მაშინ, ამას პოლიტიკოსების გულსთვის კი არა, იმის გამო გავაკეთებდა, რომ სხვანიარად მოქცევა ჩემი მხრიდან გაუმართლებელი ფუნქცია იქნებოდა.

მოხუცი გაჩუმდა. რამდენიმე წამით თავისი ვინრო ოთახის სიღრმეში გაუმტვრდა მზერა, თითქოს ჩვენი არსებობა დაავინყვარო.

უხერხული დუმილი პირველმა ჩემმა გამბედავმა მეგობარმა დაარღვია, უკანასკნელი ხერხი მომიგვლია და გაულოხდალად გამოტყდა, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამ ბრიყულ სამუშაოზე დავთანხმდით, არავითარ კავშირში არ არის დიდ პოლიტიკასთან, სტუდენტები ვართ და ზაფხულის არდადეგაზე ცოტათოდინ ფულის გამოიმუშავება გვინდაო. ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. პროფესორი დახვეწებულ ბალიშებს მიყვრნო და თავი

ჩვენსკენ მოაბრუნა; შევეცადეთ სახეზე მონარე ცრმადვილისა და უძენი შვილის გამომეტყველებას შორის რაღაც საშუალო აღგვეხედა. არ ვიცი ამან გაჭრა, თუ შერაოდ დავიღალა - ახლა უკვე მწვეთად გამოგვეკითხა რა გვერქვა, ვინ ვიყავით და რას ვაკეთებდით. ამის გაგონებაზე ჩემს მეგობარს თვალები სახიფათოდ აუნიო და მორიგი სახლდახელი იმპროვიზაციის გამოხატობად მოეშადა, ცალფეხა პროფესორს ურცხვი მზერა მიაპერი, გუდას პირი მოხსნა და ღირსეულთა ითმებლობით ჩამოთვალა, თეატრალურ ინსტიტუტში მესამე კურსზე ვსწავლობ, პიესებს ვწერ და გონებისთვის უამრავი სასარგებლო საქმიაც ვარ დაკავებული - მიოლი ეს აბადუბდა მოთმინებით ჩემს მოსმენილ (თუ სავარაუდოდ დაჯერებულად, რადგან ჩემს მეგობარს დედა თეატრალურ ინსტიტუტში არასოდეს შეწავლია, ეჭვრებობდა უზომობის გამოიყვება, სინამდვილეში კი ეს წყალნადეული და ურცხვი მატყუარა, ნამდვილი უსაქმიო იყო და მის საქმიანობასთან დაკავშირებული შეკითხვებისგან თავის დასაქვლად მწროლობას იბრალვდა სიომე). ამის შემდეგ მოხუცი ექ მომობრუნდა; შეიტყო თუ არა პროფესიით ისტორიკოსი ვიყავი, აღშფოთების ახალი შეტევა დაეწყო და თავიდან მომეცა მტკიცებას, რომ პოლიტიკა ლოგიკაზე კი არა, ადამიანის მანკიერებაზე აგებული ყველაზე უსამართლო თამაშია, რომლისგანაც მიოლი კაცობრიობის ისტორია შედგება; ჩემი პროფესიის ადამიანმა ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს ეს და თავს არ უნდა იტყუებდეს ილუზიებით.

